ყოველ კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 5. 1920 წ. კვირა, აპრილის 4, წელიწადი პირველი № 5.

ფასი 3 მან.

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-
სალიტერატურო გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„**სასოფლო გაზეთში**“ მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ცალი 3 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე, მისამართი დამფუძნებელ კრების ქ. № 5, „საქართველო“-ს ბინაზე.

გამაერთიანებელი ძალა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო მისი ბედნიერება და მისი უბედურებაც.

რამდენი უბედურობა არ მოუტანია მისთვის მის მდებარეობას, რამდენი მტერი არ მიაყენა მას: სპარსეთი, ოსმალეთი, ლეკი, ხაზარი და რომელი სხვა გადამთიელი არ მიეჩქარებოდა მის კალთისკენ თავითფეხამდე შეიარაღებული.

მაგრამ არავინ არ იცოდა საფრთხის წინაშე „ქვიტკირივით“ გამაგრება ისე, როგორც ქართველმა.

არვინ იცოდა მტერთან ისეთი შებმა, როგორც ქართველმა.

რას უნდა მიეწეროს ეს? რასაკვირველია, არა ქართველის გმირობას, სამშობლოსთვის თავ დადებას, არამედ იმ სულიერ ძალას, იმ ერთსულოვანობას, რომელიც ჰსუფევდა და ჰსუფევს ქართველ ერში. ამ ძალით მუდამ იყო ქართველი შეიარაღებული და როდესაც კი ამ იარაღით გამოდიოდა ის მტერთან საბრძოლველად, ვერავითარი მტერი ვერ გადარჩენია მის მარჯვენას!

ამას გვიჩვენებს საქართველოს ისტორია, ამას გვიჩვენებს დღევანდელი მაგალითებიც:

გაიხსენეთ სომხეთის ომი, თუ რა ერთსულოვნობით, დიდი თუ პატარა შეიყარა სამშობლოს დასაცავად! გაიხსენეთ ბრძოლა რუსეთთან, ოსებთან ვერაგ ბოლშევიკებთ და სხ.

ჩვენ რომ ერთობა და გამაერთიანებელი მიზანი არ გვქონოდა, ეს უთვალავი მტერი დღემდე არ გვაბოგინებდა!

დღეს ჩვენს წინაშე დაეცა ერთი ძლიერი ჩვენი მტერთაგანი—დენიკინი და მოხალისეთა ლაშქარი, დღეს ამ საშიშარ მტერის საბოლოო განადგურებას მოვესწარით, მაგრამ ჩვენი თავისუფალ ცხოვრებისთვის ბრძოლა და ღვთის სამართალი თავდებია იმისა, რომ კიდევ მრავალ მტრის განადგურებას მოვესწრობით.

ჩვენი მტრები დღითი-დღე იქსაქსებიან, იფანტებიან, ქართველი ერი კი, დღითი-დღე ერთიანდება, ძალას იკრეფს ერთი მიზნის—სამშობლოს გარშემო და უნდა გვწამდეს რომ ფიზიკურ ძალას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს შედარებით იმ ძალასთან, რითაც მდიდარია და მდიდარი იქნება მუდამ ამდენ მტრებით შემოსეული ჩვენი სამშობლო—საქართველო!

რუსეთის ბოლშევიკები და საქართველო.

საქართველოზე უმშვენიერესი, ქვეყანა დედამიწის ზურგზე თითქმის არ მოიპოვება. მაგრამ ყველამ იცის, რომ კარგს ყოველთვის შურით უცქერიან, და მის ხელში ჩაგდებას ჰლამობენ. საქართველოს ბედიც მუდამ ასეთი იყო. ამის დამამტკიცებელია მისი წარსული, ის გმირული თავგანწირვა და სისხლის ნიაღვრები, რომლითაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები იცავდენ სამშობლოს მტერთა მოშურნეობისაგან.

ოსმალეთი და სპარსეთი, რომელნიც უძლიერესი სახელმწიფონი იყვნენ და მთელ აზიაში ბატონობდნენ, უმთავრეს ყურადღებას ჩვენს პატარა ქვეყანას აქცევდნენ. მთელ საუკუნოებით ცდილობდნენ ცეცხლითა და მახვილითა საქართველოს დაპყრობას და დაპატრონებას, შეუწყვეტელი ომებით თავიანთ თავიც გაანახევრეს—ქართველის გმირი მარჯვენით იჟლიტებოდნენ და ჩვენც არ დაგვაყარეს ხეირი, სისხლით მოგვარწყევინეს ყოველი მტკაველი ჩვენი მამულისა. არც სხვები გვერიდებოდნენ: თათრები, ლეკები, ოსები—ყველას უნდოდა საქართველოსაგან რაიმე გაეგლიჯა და მიეთვისა, მაგრამ ქართველის მკერდი ამაყი და მედგარი იყო და მოზღვავებულ მრავალ რიცხოვან მტერს ისევ ცეცხლით და მახვილით უკან აბრუნებენ. სპარსეთი და ოსმალეთი ხშირად ერთმანეთში ქიშპობდნენ და ერთმანეთსაც ანადგურებდნენ საქართველოზე ცილობით.

და განა მისახვედრი არ არის თუ რად ხდებოდა ასე. საქართველო ძვირფასი მარგალიტია მთელ ქვეყანებზე და ყველას უნდოდა მისი ძალით ან მოტყუებით ხელში ჩაგდება.

ჩვენმა წინაპრებმაც იცოდნენ თავის სამშობლოს ფასი აკი ამიტომაც ისე თავგამოდებით იცავდნენ მას და არავის ანებებდენ.

ასევე შურით უყურებდა საქართველოს ჩრდილოეთიდან რუსეთი, მაგრამ მას საშუალება არა ჰქონდა ჩვენსკენ წამოსულიყო კავკასიონის ქალაქები გზას არ იძლეოდნენ, მაგრამ ამ ას ოციოდე წლის წინად, როცა ქართველის გმირი მკლავი მტერთან ბრძოლაში მიდიოდა ქართველმა ერმა თავისი თავი იმავე ქრისტიან ერთ მორწმუნე რუსეთს მიაბარა. დასასვენებლად ასი წლის ვადით იმ იმედით, რომ რუსეთი მას ქრისტიანულ გრძნობით მოეპყრობოდა, თანდათან მფარველობას უწევდა. ამ რიგად საქართველო თავის ნებით ჩაუვარდა რუსეთ ხელში და დარიალის კარი გაუღო. დიაღ! ასი წლით მიაბარეს საქართველო რუსეთს. და განა საჭიროა ახსნა განმარტება იმისა, თუ როგორ მოგვექცა და როგორ გამოიყენა მადა გასნილმა რუსეთმა ჩვენი ნდობა და იმედი.

იგი მაშინვე შეუდგა საქართველოს ფაქტიურად დაპყრობას, რუსეთის გუბერნიად გადააქცია რუსებით გაავსო, ყველგან რუსის მოხელეები დანიშნა, კანონი-სამართალი თავის ხელში მოაქცია, წაგვართვა ყველაფერი: ეკლესია, საუკეთესო მამულები რუსეთის სახელმწიფო მამულებად გამოაცხადა და რუსებით ჩაასახლა. რაც კარგი იყო ყველაფერს დეპატრონა, ძვირფასი წმიდა ხატები და ჯვრებიც კი არ დაინდო, რუსეთმა გაიტაცა, აგვალებინა მამა-პაპურ ზნე-ჩვეულებაზე და შეუდგა ჩვენს გადაგვარებას, გარუსებას, რომ საბოლოვოდ და სამუდამოდ დაჰპატრონებოდა.

მაგრამ ნათქვამია: „კაცმა კაცი გასწირა და ღმერთმა კი არაო“ რუსეთსაც ჩვენი ცოდო მოეწია. დიდმა ომმა და რევოლიუციამ დაანგრია იგი საშუალება მოგვცა გამოსცალოდით მას ჩვენი დამოუკიდებლობა აღვედგინა, შევდგომოდით ისევ თავისუფალ ცხოვრებას და სახელმწიფოს მოწყობას.

ჩვენ უკვე დავუმტკიცეთ მთელ ქვეყანას ჩვენი ღირსება. იმ დროს, როცა რუსეთი სამოქალაქო ომში იღუპება, ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, შევძელით ცხოვრების მოწყობა, წესრიგის შექმნა, და მტკიცე სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დადგომა. დღეს ჩვენ ქვეყანას სხვები სამოთხეს უძახიან, ჩვენ სხვებთან შედარებით ძალიან ბედნიერნი ვართ. ჩვენში ჰპოვებენ შვებას და გვაფარებენ თავს გამოქცეულნი რუსეთიდან, სომხეთიდან და სხვა.

რაც რუსეთი დაინგრა მას შემდეგ ოსმალეთმა სცადა საქართველოს ხელში ჩაგდება, მაგრამ ღმერთმა ხელი არ მოუმართა და თავის თავი პირად გაუხდა. დღეს ის მომაკვდავია, ძლივს იბრუნებს სულს. სომხეთიც შეეცადა შარშან ქრისტეშობისთვეში ბორჩალოს მაზრის წაგლეჯას და თბილისსაც კი ემუქრებოდა. მაგრამ ჩვენმა მამაცმა ჯარმა ღირსეული პასუხი გასცა და პირიქით ინგლისი არ ჩარეულიყო შუაში, თავად არ დაუჯდებოდა ჩვენთან [illegible]ხადება. აზერბაიჯანი დღ[illegible] [illegible]ლებს ამას რომ როგორმე დავაკარგინოს ბათუმი და ძველი მესხეთი—საქართველოს აკვანი. ოსებმაც კი სცადეს ცხინვალის მხრიდან ჩვენზე გამოლაშქრება. რა უნდათ ჩვენგან? რატომ სხვას არ ეტანებიან. ჩვენი ქვეყნის ბადალი სხვა არ არი და ამიტომ.

მაგრამ დღიდან ჩვენი განთავისუფლებისა რუსეთის მონობიდან ყველაზე მეტად ისევ რუსეთი ილესავს ჩვენზე კბილებს. რუსეთს ვერ მოუთმენია ასეთი ძვირფასი განძის დაკარგვა. საქართველოს ხელიდან გაშვებას თვალის ამოთხრა ერჩივნა. სწორედ ამიტომ, იყო რომ დენიკინის ჯარი მოსვენებას არ გვაძლევდა,

კვირიდან კვირამდე

საბჭოთა რუსეთმა პოლონეთსა და ლატვიასთან საზავო მოლაპარაკება გამართა.

ბოლშევიკებმა აიღეს: ქ. ნოვოროსიისკი, ანაპა, პეტროვსკი, კავკავი და უკანასკნელად დარუბანდი და თემირ-ხან-შურა.

დანიაში და პორტუგალიაში დიდი გაფიცვებია.

გერმანიაში ახალი მთავრობა შესდგა.

ინგლისის პალატამ მეორედ განხილვის შემდეგ მიიღო ირლანდიის ჰომრული

გვესხმოდა თავს ხან სოხუმიდან, ხან კავკავიდან დაპყრობით გვემუქრებოდა. მაგრამ საქართველოს ჯარი ყოველთვის ჯეროვან პასუხს აძლევდა.

ასევე იქცევიან რუსის ბოლშევიკები. იმ თავითვე მათ გადაწყვეტილი აქვთ რათაც უნდა დაუჯდეს, ძალით თუ მოტყუებით საქართველო ისევ დაიპყრონ, რუსეთს შეუერთონ, ისევ დაიმონონ.

მაგრამ ბოლშევიკებმა იციან რომ ჩვენ ძლიერნი ვართ და ძალით ვერ დაგვიპყრობენ და ამიტომაც მიმართავენ სხვა ხერხს—მოტყუებით დაპყრობას. და აი სწორედ ამ მიზნით რუსის ბოლშევიკები არა ჰზოგავენ არავითარს საშვალებას; ხარჯავენ მილიონებს, ჰგზავნიან რუსეთიდან ჩვენში თავის აგენტებს, აქ შეისყიდეს ყველა ჩვენნი მტერი, ოსი, სომეხი, თათარი და სხვა. შეისყიდეს აგრეთვე ბევრი მოღალატე ქართველიც და მთელი საქართველო მოჰფინეს ასეთი პროვოკატორებით, და აბა დაუკვირდით თუ ყველა თუ ყველა თავზე ხელაღებული მაწანწალა, სინდის გარეცხილი და სამშობლოს უარმყოფელი ბოლშევიკი არ არი. აი ესენი დაძრწიან ჩვენს სოფლებში, უწამლავენ ტვინს გულუბყვრილო ხალხს, ატყუებენ, ჰპირდებიან ყველაფერს და ამით ცდილობენ ჩვენი ციხე ჩვენითვე შიგნიდან გატეხონ და ამით არეულობა გამოიწვიონ. დღე მუდამ ჩაგვჩიჩინებენ—აუჯანყდით თქვენს მთავრობას, ამოჟლიტეთ ერთმანეთი, შეურიგდით ბოლშევიკებსო, ე. ი. რუსეთსა და ის სამოთხეს დაგიმყარებთო, განა შეიძლება მივენდოთ და დაუჯეროთ იმას, ვინც იმსავითვე ჩვენი მტერი იყო და დღეს თეთრი კბილით და ტკბილი სიტყვით ჩვენს დაპყრობას ცდილობს, არა, ჩვენ უნდა ჩაუკვირდეთ ჩვენ საქმეს და უნდა ვიცოდეთ, რომ არც ქართველი ხალხის და ჩვენი მთავრობის გარეშე სხვისხელით და სიტყვით კეთდება, მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოსასპობად. განა ბოლშევიკებს რომ სამოთხის დამყარება შეეძლოთ რუსეთი ასე დაინგრეოდა, განა იქ ასეთი არევ-დარევა და ხოცვა ჟლეტა იქნებოდა, დღე მუდამ გზა აბნეული ხალხი რუსეთთან გარბის თითონაც არ იცის საით. რატომ არ უნდა მივხდეთ რაშია საქმე. განა სხვის გულისათვის. გაწუხებს ვინმე თავს ტყუილა უბრალოდ თუ თითონ არ ელის გამორჩენას. თუ ბოლშევიზმი კარგია, რატომ არ მიემხრო მას განათლებული ქვეყნები. ინგლისელების, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და სხვა. არა, ბოლშევიზმი რომ კარგი იყოს რუსეთი მას ვერ ეღირსებოდა. სხვა უფრო ადრე დაასწრებდა. მაგრამ საქმე ბოლშევიკობაში კი არ არის.

საქართველო უმშვენიერესი და უძვირფასესი ქვეყანა სულ დედამიწის ზურგზე და რუსეთს ბოლშევიკურ მთავრობის ისევე, როგორც ეს უნდოდათ წინეთ ოსმალეთს და სპარსეთს. საქართველო სამოთხეა და ჩვენ მცხოვრებს ბოლშევიკების ხელით უნდა მყუდრო ცხოვრება დაგვინგრიონ და საქართველო ჯოჯოხეთად გადააქციონ. ჩვენმა სოფელმა უნდა იცოდეს ეს და ბოლშევიკების სახელით მონათლულს ჩვენს მტრების მაცდურ რჩევა-დარიგებას არ აჰყვეს.

ნურავის ეგონება რომ რუსეთის ბოლშევიკებს საქართველოსთაის მართლა ბედნიერების მოტანა უნდოდეთ. ჩვენ მთავრობას იმავე გზით მიჰყავს საქართველოს ცხოვრება, რომლითაც მიჰყავდა სამშობლოსთვის თავდადებულ ჩვენს წინაპრებს. ჩვენ ერთგულად უნდა მივსდიოთ ჩვენს მთავრობას და უნდა დავგმოთ ბოლშევიკების სამოსელში გახვეულ ჩვენი მტრები, რომელთაც ლამაზ სიტყვებთან ერთად ზურგს უკან მოღერებული ხანჯალი უჭირავთ და ჩვენს სამშობლოს ულირებენ ჩასაცემად, რათა მის გვამზე თითონ ინავარდონ და ჩვენი ლამაზი ქვეყნით თითონ დასტკბნენ.

დენიკინი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

(ინგლისური პრესსა)

ლონდონ. მარტის 16 დენიკინმა ქართველებთან მოლაპარაკება დაიწყო. მას განზრახვა აქვს ალიაროს საქართველოს მთავრობა და მზად არის საქართველოს საჭირო სურსათი უგზავნოს. ასეთივე შეთანხმების განზრახვა აქვს დენიკინს აზერბაიჯანთან.

საქართველოს პარკი საფრანგეთის ბაზარზე

(საქ. დეპ. სააგ.).

მარსელი. მარტის 9. 1920 მას შემდეგ, რაც საზოგადოების გემებმა დაიწყო მისვლა-მოსვლა მარსელსა და ბათომს შორის, ლიონისა და მარსელის აბრეშუმის მქსოველთა მექარხნეები ელიან საქართველოდან მრავალი პარკის შემოტანას მარსელში.

მარსელის ბირჟაზე უკვე დაიწყეს საქართველოს პარკის კოტიროვკა თითქმის ნორმალურია საქონლის უქონლობის გამო.

დღევანდელ ბირჟაზე საქართველოს აშრალი პარკის ფასმა ყოველივე რეკორდს გადააჭარბა: იძლეოდენ საქართველოს ყვითელ პარკისთვის 88 ფრანკს ერთ კილოსთვის, თეთრი 88 ფრანკს ერთ კილოსთვის.

ბ. დემურია.

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგი

ქ. სოხუმში

სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ ქალაქის არჩევნებში ხმები მიიღეს:

№ 1	(სოც. დემოკ.)	636
„ 2	(ეროვნ.-დემ.)	315
„ 3	(სოც.-რევ.)	87
„ 5	(სოც.-ფედ.)	127
„ 8	(ეროვ. (ვეშაპ.)	24
„ 16	—	1

ოჩემჩირეში

№ 1	—	403
„ 2	—	178
„ 3	—	59
„ 5	—	70

სხვა ადგილებიდან ცნობები ჯერ არ მიგვიღია; ჩვენს მიერ ოჩემჩირიდან მიღებული ცნობებით, სოფლად აფხაზებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სასოფლო მეურნეობა

კართოფილის მოვლა-მოშენება

(დასასრული)

კართოფილის თავში ან იმ ნახევარზე სადაც თვალები არ ეტყობა, იმყოფება ის საზრდო, რომლითაც კართოფილი საზრდოობს, გაღვივების დროს იქამდის, ვიდრე იგი ფესვებს გამოიტანს და შეიძლება ნიადაგიდან თავის-თავის საზრდოობას—ამიტომ თუ ჩვენ შუაზედ გადავჭერით ერთ მხარეს ექცევა ის საზრდოს ძალა და მეორე მხარე კი უსაზრდოვოდ რჩება. ამიტომ კარტოფილი შუაზე კი არ უნდა გაიჭრას, არამედ სიგძეზედ, რომ ყოველ ნახევარს თავისი გაღვივებისათვის საჭირო საზრდო თან გაჰყვეს. კარტოფილს გადასჭრით, თუ არა, მაშინვე ხის ნაცარში უნდა ამოავლოთ, ერთად შეაქუჩოთ და მაშინვე დათესოთ.

დათესვამდე, ერთი თვის წინად, რომ კარტოფილს ასცდეს სხვა და სხვა ავადმყოფობანი, უნდა შევასხუროთ ორი პროცენტი შაბიამანი (ასი გირ. უნდა ოთხმოცდა თერთმეტი პროც. წყალი იყოს და ორი პროც. შაბიამანი) ერთი დღის შემდეგ უბრალო წყლით გავრეცხოთ და გავაშროთ.

თუ კართოფილი მარტამდე დაითესა მაშინ თესლი ღრმად უნდა ჩაიფლას, რომ ყინვამ და სიცივემ თან არ ჩაატანოს. კართოფილის თესვა შეიძლება აპრილის დასაწყისიდანაც მაისის ბოლომდის.

კართოფილი უნდა დაითესოს მწკრივზე ანუ რიგზე. რიგსა და რიგს შუა მცირე ადგილი უნდა დარჩეს. ერთი სიტყვით იმდენად განზე უნდა იყოს დათესილი, რომ თავისუფლად შეიძლებოდეს გათოხნა. კართოფილი უნდა დაითესოს არა უღრმეს ათი ს. მიწის შემოყრა უნდა მოხდეს სამი—ოთხი კვირის შემდეგ დათესვისა შემოყრილი კართოფილი მუდამ მეტ მოსავალს იძლევა, რადგან კართოფილი თავის საზრდოს, სხვა მცენარეებისა მიწის ნიადაგიდან კი არ იღებს, არამედ ზედაპირიდან. მიწის შემოყრას კიდევ ერთი კარგი თვისება ისა აქვს, რომ შემოუყრელი ძირები აგრე რიგად არ ავადმყოფობენ, რადგან, თუ რაიმე მატლი კართოფილის ფოთლიდან ძირს ჩამოვარდება იქვე კართოფილის ძირთან აღარ მოხდება, რადგან იგი შემონაყარზე დაცურდება და ძირს ეცემა. შემდეგ კი ამის გამო ზევით ასვლა ძალიან უძნელდება და ძირსვე იხოცება. თუ კართოფილი შემოუყრელი დავსტოვეთ, მოსავალი ნაკლები იქნება, რადგან მცენარეს საზრდო საკმარისი არ ექნება, რადგან კართოფილი მიწის ზედაპირიდან იღებს საზრდოს და მეორე მხრივ კიდევ ფოთლიდან ჩამოვარდნილი მატლი კართოფილის ძირშივე დაეცემა საიდანაც მატლს ადვილად შეუძლია უკანვე აცოცდეს, ან კიდევ კართოფილის ძირშივე მავნებლობა დაიწყოს.

შემოყრა უნდა მოხდეს უფრო ადრე სანამ კართოფილის ღეროები აყვავდება. ხოლო ნაკლები ერთხელ მაინც უნდა გაითოხნოს რიგიანად, რომ მავნე ბალახეულობა მოისპოს.

უკეთესია, თუ კართოფილი 1—3 ითოხნება.

კართოფილს ბევრნაირი ავადმყოფობა აქვს, რომელიც ზოგს ძირს აფუჭებს და ზოგიც ფოთოლს. რადგან მცენარისათვის ფოთოლი იგივე, რაც ადამიანისთვის ფილტვები, ამიტომ მუდამ უნდა ვეცადნოთ, რომ ფოთლის ავადმყოფობა რამენაირად თავიდან ავიცდინოთ. მუდამ უნდა გავიაროთ რიგებს შუა და ფოთოლზე მატლი შევამჩნიოთ შევაქუჩოთ და დავსწვათ. რიგზე ყოველ წლიური მცენარეთა შეცვლა ამ გვარ ავადმყოფობისათვის ძალიან ხელსაყრელი და კარგია.

ფოთლისა და კართოფილის ღეროს ავადმყოფობას შემდეგ შეგვიძლიან ვიხმაროთ ამნაირი წამალი, რომელსაც მთელ ზაფხულში ვასხურებთ ორჯერ მაინც მზიანსა და არა წვიმიან დღეში.

უნდა ავიღოთ ორნახევარი გირვანქა შაბიამანი, ორნახევარი გირვანქა დამწვარი კირი და გავხსნათ სამ ფუთ წყალში, რომელსაც შემდეგ გავცრავთ წმინდა საცერში და მეორე დღეს კართოფილის ღერო-ფოთლებს ვასხურებთ.

კართოფილის ამოღება უნდა მოხდეს მშრალ დარიან დღეში, თუ წვიმიან დღეში ამოვიღეთ, კართოფილი კარგად ვერ შეინახება. შემოუსვლელი კართოფილი არ უნდა ამოვიღოთ. თუ კართოფილი გადასჭერით და ძალიან წყლიანი ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ჯერ შემოუსვლელია კართოფილი მხოლოდ, მაშინ უმდა ამოვიღოთ, როცა მის ღერო, ფოთლები სულ დასჭკნებიან. თუ ფოთლები ჯერ არ არი დამჭკნარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ის შემოსული არ არი.

შენახვამდინ უნდა გამოვამზეოთ, გავაშროთ, რომ სიძველის გამო არ დაგვილპეს. შესანახი შენობა უნდა იყოს მშრალი, სუფთა და ჰაერიანი არც უნდა სიცივე სჭარბობდეს. თუ სარდაფის ორმოში შევინახავთ ძირს გვერდებზე უნდა მშრალი ჩალა (პურის ან ქერის) დავაფინოთ შემოვარტყათ აგრეთვე ზემოდანაც ჩალას დავაფარებთ და ამ მშრალ მიწას დავაყრით. კარგი იქნება, თუ ამ ორმოს ზევიდან ფიცრის სახურავს გავუკეთებთ, რომ წვიმამ ზედ არ იდინოს, ორმოს უნდა საჰაერე დავატანოთ, რომელსაც ყინვების დროს დავხურავთ.

აგრ. რევაზ გედევანიშვილი.

სოფლის კალენდარი

აპრილი

ხვნა-თესვა.	სიმინდის თესვა. საჭირო თესლის შერჩევა და წესიერი-მოხვნა-დაფარცხვა.
ვენახი.	ვაზი იბარება-ითოხნება და კავზე აიკვრება ნამყენი სანერგეში უნდა გადირგოს მევენახეს ეხლა ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: შაბიამნისა, კირისა და გოგირდის შემზადება.
ბაღი.	გადარგვა, შესხვლა. მყნობა. ბუჩქების გაშენება. შესხვლა და შეკრეჭა, ხეხილების წმენდა მწერებისგან, უნაყოფო ხეხილებს სასუქ-გარეული წყალი ჩაუსხით ძირში, მწერების საწინააღმდეგოდ, ხეხილს უნდა თავიდან ბოლომდე კირი წაუსვათ. გადარგულები მორწყეთ და თვალის ჩინივით უარეთ.
ბოსტანი.	კვლებში გადარგეთ: კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი და სხვა მწვანილი. დათესეთ: კიტრი, საზამთრო, ნესვი, ლობიო, გოგრა და სხვა. მეორედ უნდა დაითესოს: თვის ბოლოკი და წიწმატი. გაიმარგლოს, გაიხილოს და თებერვალ მარტში დათესილები უნდა ბალახებიდან გაიმარგლოს. მიწა გააფხვიერეთ და გაასუქეთ.
მეფუტკრეობა.	ფუტკარი სიცივეს არიდეთ, გამოუცვალეთ, თუ დედა არა ჰყავს გაასუფთავეთ. განიერეთ, მიეცით მშრალი ან ხელოვნური ფიჭა ვისაც ნაყარი უნდა ფუტკარი ხელოვნურად, თხელი თაფ-

ლით კვებოს. ვისაც სურს მეტი თაფლი მიიღოს, ბუდეში სამუშაო ფიჭები უნდა ჰქონდეს. ჩარჩოზედ სანიმუშოდ ფორმა შეაწებეთ, სკა თარაზოში გაასწორეთ და ნაყარი ისევ ჩაყარეთ. ჩრჩილის პეპლები მთლად გასწყვიტეთ ამისათვის ბნელ ღამეში საფუტკრის მახლობლივ ფიჩხისა ან წალმის ცეცხლი გააჩინეთ პეპლები ცეცხლს მიეზიდებიან და დაიკარგებიან.

მეაბრეშუმეობა. თესლის თბობის დროა. ეცადეთ ჭიის გამოსვლა არ გაჭიანურდეს, ორ—სამ დღეში დილდილობით სულ ამოვიდეს. ერთი დღის გამოსულს მეორე დღისაში ნუ აურევთ, ცალ-ცალკე ჩაფრებზე იყოლიეთ. საჭმელი სითბისა ზომიერება დაიცავით გაწმენდილ სახლში ქია არ შეუშვათ. ჭიას ნორჩი, მშრალი, სუფთა და წვრილად დაჭრილი ფოთოლი აჭამეთ. საჭიეში ჰაერი გაწმინდეთ, მტვერი არ დაყენოთ.

სასოფლო მეურნეობა.

ქერის შეძენა. მიწათ მოქმედების სამინისტროსთან არსებულმა საუწყებოთ შორის თესლის შემძენ-განმანაწილებელმ კომისიამ შეიძინა სათესლედ ბათუმში 20,000 ფუთი ქერი, რომელიც უკვე განაწილებულია დაზარალებულ მაზრათა შორის. (ახალქალაქისა, ახალციხისა და არტაანის ოლქში). ერობებს წინადადება ეძლევა, გადაიხადონ. პირველად თესლის ზვედრი საფასური, რაც კომისიას საშვალებას მისცემს ზედმეტი სათესლე მიაწოდოს ერობებს.

ბოსტნეულობის თესლი.

მიწათმოქმედების სამინისტრომ მიიღო დიდძალი ბოსტნეულობის თესლი, რომელიც ეგზავნება ერობებსა და კოოპერატივებს.

მეაბრეშუმეთა ყრილობა.

4 აპრილს ქ. ქუთაისში, მეაბრეშუმეობის სადგურის ბინაზე, გაიმართება საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა.

თამბაქოს ყიდვა-გაყიდვა.

გასტრონომიულ და წვრიმლის მაღაზიათა პატრონების პროფესიონალურ კავშირმა, მექარხნეთა და საზოგადოების საშუალებით მიიღო ნებართვა, რომლის ძალითაც მას შეუძლიან შეიძინოს თამბაქოს ნაწარმოები ყველა ხარისხისა პირდაპირ მექარხნეებიდან 15—20% დათმობით იმ პირობით, რომ გაჰყიდიან თამბაქოს ეტიკეტის ფასის მიხედვით.

ანკეტა შემოდგომის ნათესის მდგომარეობის და სურსათის რაოდენობის გამოსარკვევად.

ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტმა შეიმუშავა შემოდგომის ნათესის მდგომარეობის სურსათ სანოვაგის რაოდენობის და სხვა და სხვა საგნებზე ადგილობრივი ფასების გამოსარკვევი ვრცელი ანკეტა. და დაუგზავნა მაზრის ერობებს მუშებს და მოხალისე კორესპონდენტებს სულ დაგზავნილი იქმნა 5000-დე ანკეტა რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში. ზოგიერთ მაზრებიდან და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდა უკვე მოდის შევსებული ანკეტები, რომლებიც ასურათებს მაზრების მდგომარეობას. სხვა მაზრებიდან პასუხს აგვიანებენ. ვინაიდან ეს გამოკვლევა არის საჩქაროდ და აქვს დიდი მნიშვნელობა ცემტრალური სტატისტიკური კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს მაზრის ერობებს თემებს და მოხალისე კორესპონდენტებს რომელთაც ჯერ არ გამოუგზავნიათ შევსებული ანკეტები დააჩქარონ ანკეტების დაბრუნება.

კახელ მევენახეთა საბჭოში.

კახელ მევენახეთა და მეღვინეობის საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ანდრონიკაშვილმა შეადგინა საგანგებო პროექტი საბჭოს მოქმედების შესახებ.

— დღეს 4 აპრილს, საბჭოს სხდომაზე დანიშნულია საგანგებო სხდომა ამერიკის ვაზის შესახებ და საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ.

— საბჭოს მიერ შემუშავებული მოხსენა ღვინის ქოჰკებზე გადასახადების (ვედროზე 40 მანეთი) გაუქმების შესახებ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მოიწონა.

სათესლე ხორბალი.

ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი სთხოვს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, დაუთმოს მას ხუთი ვაგონი სათესლე ხორბალი თესლი პირველ ხანად გაგზავნება ბორჩალოს მაზრაში, სადაც ამ მხრით დიდი გაჭირვებაა.

უცხოეთი.

დანია

(საქ. დეპ. სააგ.)

დანიაში პოლიტიკური კრიზისი მწიფდება. 29 მარტს მეფემ საბჭოს თავმჯდომარეს ზალეს წინადადებ მისცა, რომ იგი გადამდგარიყო. როდესაც თავმჯდომარემ უარით უპასუხა მეფემ გაუშვა მთელი კაბინეტი. მეფემ საბჭოს ყოფილი თავმჯდომარეს მსერგარდს საქმიანი კაბინედგენა დაავალა. ლიბერალური და სოციალისტურ პარტიები საერთო გაფიცვის პასუხით იმუქრებიან.

ოსმალეთი

ზავის პირობების გარშემო

„ჰავას“-ის მიერ მოცემული ცნობების მიხედვით, უმაღლეს საბჭოს განუხილავს უკვე ოსმალეთთან შესაკვრელი ზავის შესახებ კომისიების მიერ წარმოდგენილი ბიულეტენები.

მთავარი მუხლები ოსმალეთთან შესაკვრელი ზავისა უკვე მზად არი. მიღებულ ცნობების მიხედვით, უნდა შესდგეს კომისია, საფრანგეთის, იტალიის და ინგლისის დელეგატთან, რომელიც ჩაითვლება ოფიციალურ კომისიად დაგზავნება ოსმალეთში, რეფორმების მოსახდენად.

სომხეთის საკითხს განიხილავს ეროვნებათა კავშირი. ჯერ განხილული არ არიან ოსმალეთის განიარაღების, მის მიერ გადახდილი კონტრიბუციის და უმცირესობათა დაცვას შესახებ მუხლები.

ამერიკა

სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან.

რეველში მოვიდა ამერიკის განსაკუთრებული კომისია, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის პირობებთან გასაცნობად

(„ტაიმსი“).

გერმანია

ვაჭრობა ინგლისთან.

1918 წლის განმავლობაში გერმანიიდან გაუტანიათ ინგლისში სხვა და სხვა საქონელი ერთი მილ გირვანქა სტერლინგისა. ამავე წლის განმავლობაში გერმანიამ შემოიტანა ინგლისური საქონელი 14.640,000 გირვანქა სტერლინგისა.

(„ტაიმსი“).

ახალი ამბები

თელავი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„კახეთის“ წევრთა კრება.

28 მარტს გახსნილი თელავში კახელ მევენახეთა საზ—ა „კახეთის“ წევრთა წლიური კრება დაიხურა. 29 მარტს კრებაზე სხვათა შორის დადგინეს:

დახმარება გორს.

კრებამ დადგინა გადიდოს გორის მიწისძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 120 ვედრა ღვინო დახლოვებით 7200 მანეთის ღირებულისა.

არჩევნები.

დასასრულ მოხდა არჩევნები, გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნა ლევან საბადაშვილი და გოგლა გულაშვილი. საბჭოს წევრებად ა. ღულიაშვილი, ვ. კახაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: ათ. ჭუმსიაშვილი. გ. მათიაშვილი და ზ. კავთელაშვილი.

— **გაქცეულ ტუსალთა შეპყრობა.** ზუგდიდიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ მაზრის ადმინისტრაციამ შეიპყრო ამასწინად ზუგდიდის ციხიდან გაქცეული ორი ტუსალი მეჩკაია და რეკავა.

— **კაცის მოკვლა.** ს. ახალგორში (დუშ. მაზრა) შეუპყრიათ ლექსა მაშარაშვილი, რომელსაც მითომ რევოლვერი უსროლნია ერობის ხმოსნისათვის. დუშეთის ციხეში წაყვანის დროს იგი გზაში მოუკლავთ მილიციონერებს დათა ბიჭინაშვილს, ლექსო გუხაშვილს და ილ. ბოლოლაშვილს. მილიციონერები ამბობენ, რომ ლექსა მაჭარაშვილი გზაში გაგვექცა და ამიტომ ვესროლეთ.

საუბარი სოფლელთან

მეგობარო სისო! კაი ხანია გულში მქონდა გამოგბაასებოდი, მესაუბრა შენთან ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, მაგრამ აქამდის ვერ ვახერხებდი, ახლა კი სულით და გულით მინდა გელაპარაკო იმაზე, რაც ჩვენ გვაინტერესებდა, რაც ჩვენ გვაწუხებდა, ხან გვაცინებდა, მე და შენ ხომ სოფლის შვილები ვართ, სოფლის ამყოლ დამყოლი, მისი ავ-კარგის ცოტად თუ ბევრად მცოდნე და შემტყობი, მაშასადამე ჩვენ უნდა გამოვხატოთ სოფლის კაცის სულის კვეთება.

უნდა გამოვტყდე კი, რომ ჩვენ ზოგიერთებივით ზერელე ვერ შევხედავთ ამ წუთისოფლის ორომტრიალს, მის მოზვავებას ცალი თვალით კი არ უნდა უყურებდეთ ყველაფერს, რაც ხდება ქვეყანაზე, რის მოწმეც ჩვენა ვართ, არამედ ასჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გადასჭრა, ჩაუკვირდე, შეისწავლო ხალხის ცხოვრება ხორციელი სულიერი, გამოიძიო, გამოიკვლიო მიუდგომლად, სიმართლით და მხოლოდ ამის შემდეგ გაქვს ნება თავისუფლად სთქვა: მე ხალხს ვიცნობ, იგი მე მცნობს, ჩვენ ერთმანეთთან ახლოს ვართ, ხიდი ჩვენს შორის გადებულიათქო.

ამას შესავალი უწოდეთ და ახლა პირდაპირ საგანზე გადავიდეთ, დავიწყოთ იმ დროიდან როცა ჩვენში მოძრაობა შეიქნა, გადმოვარდა ტალღა უცხოეთიდან და მდორე ცხოვრება შეატორტმანა.

ბევრჯელ გაგიგონია, და გსმენია, რომ ამ მტრობას სოციალისტური მოძრაობა ეწოდება და ამ სახელითაა მონათლული რომელიც ჩვენში დაიწყო დაახლოვებით ათას ცხრაას სამიდან.

სოციალისტურ მოძღვრებას, სწავლას სცდებოდენ ჩვენში შემოტანას, მაგრამ არ უფიქრდებოდენ არ უკვირდებოდენ საამბო ნიადაგს, ხალხის მომზადებას. ეს ხომ კარგად ვიცით, სანამ დავთესდეთ ყანაში თესლს, მანამდე ჯერ მიწის ნიადაგს დაუკვირდებით: იხეირებს თუ არა ამ ნიადაგზე ესა თუ ის თესლი ამავე დროს თუ გვინდა ჭირნახული ბლომად და კარგი თავის ადრიანი და შეუდგებით მიწის დამუშავებას, ხვნა-ფარცხვას, შელოწვას და გასუქებას. მხოლოდ ამას შემდეგ შეგვიძლიან ვივარაუდოთ, თუ თესლი საღიც იქნა და ცამ არ უღალატა, რომ ჭირნახული ნაყოფიერი იქნება და კაი მოსავალი გვექნებაო.

მოხდა ეს წინასწარი მომზადებაარული სწავლის გასავრცელებლად ჩვენში თუ არა? აი ამაზე მინდა გითხრა.

სოფლელების მოსარჩლეობას, მის წინ მსვლელობას გაბედნიერებას ასე ვსთქვათ, ყველა კი ფიქრობდა, მაგრამ ხომ გაგიგონია ბევრ გამზდელებთან ბავშვი ბრმა გამოვიდაო. ალბად ყველა თავისებურად უვლიდა, ზრდიდა ბავშვს: ზოგს ცუდი აღზრდა კარგად გააჩნდა და ზოგსკი წინა უკმო.

ასე იყო შორის ჩვენსაც: ყველა სოფლელ გარშიყება, ყველა მზრუნველობს იჩენს მათზე, მაგრამ სოფელი ჯერაც არავის შეუსწავლიან, მისი ავ-კარგი არავის გაუთვალისწინებია.

აკი მოგახსენე ნიადაგი არაა ჯერ გამოკვლეული სად რომელი „ჭირნახული“ მოვა მეთქი? კაცის გასაცნობად საჭიროაო, ამბობს ანდაზა, ასი ფუთი მარილი უნდა შეჭამო მასთანო. და ჩვენებურ მზრუნველ-პატრონ გამზდელებს მგონია ჯერ ერთი მისხალი მარილიც არ უნახავთ სოფლელების და აბა რა უნდა გამოვიდეს მათგან კაბინეთში სოფლელებზე ნაფიქრალ დადგენილებიდან.

გადავლეთ თვალი, წარსულის ცხოვრებასაც და ამ სიტყვების სიმართლეს იქ იპოვით. ავიღო იესო ქრისტე, რად გაჰყვა მას ხალხი? ქრისტემ როგორ ჩახედა უბრალო ერის გულში? თქვენ გგონიათ სოციალიზმიდან იწყო მან სწავლის გავრცელება?

ქრისტე იქიდან გამოვიდა სადაც უბრალო მამაკვდავი ხალხი სცხოვრობდა, ის უკვირდებოდა ხალხის შინ და გარედ, ტყესა და ველში, მდინარის და ზღვის კიდეებზე, სამლოცველო ტაძრებში და

ყველგან სადაც კი შესაძლო იყო.

ჩვენში კი აიყვანეს მარქს—ენგელს—კაუტსკები და ჩაუსვენეს გულში ხალხს: გინდა თუ არა შეისწავლე მათი მოძღვრება და გასოციალისტდი შენც ძალაუნებურად. ხალხიც ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ შეუგნებლად ებღაუჭება ამ უცხო მოძღვრებს და თუ მათი სახელი ახსენა თავი მეცნიერად გაჩნია, ზევით ზევით დაფრინავს, დედა-მიწას ამძიმებს.

რამდენჯერ მინახავს კრების სურათი: შედგარა მოქადაგე სკამზე და გაჰკივის იქიდან. ამხანაგებო! დემოკრატია... სოციალიზმი... გაუმარჯოს სოციალიზმს... და მაყურებელი ხალხი თუთიყუშივით იძახის: გაუმარჯოს... რას და რატომ არ იცის, არც არავინ სთხოვს ცოდნას. სწავლა თუ თავიდან არ დაიწყე, ანბანიდან, ჰა და ჰე შესწავლა რა გამოსადეგია.

მერე რატომ ჰკუაზე არ შეირყა ჩვენი ხალხი ამდენი სხვა და სხვა მოძღვრების ქადაგებით? ერთიას დემოკრატი, მეორე ფედერაცია, მესამე რევოლიუცია.

ყველა თავისას აქებს და სხვისას აძაგებს, მოდი და გაიგე ახლა შენ სიმართლე და სიმტყუნე! მაგრამ მე, რომ მკითხოს კაცმა: ბუზი ყველა ბზუის, მაგრამ ფუტკართან ყველა სტყუის.

ჭეშმარიტებას და სინათლეს სად წაუხვალ თვალს მოუჭრის სადაც არ უნდა დაემალო ის თავს იჩენს მაინც და თავისას გაიტანს. სოფელში არ იციან სანთელ-საკმელი თავის გზას მოსძებნისო!

ასე ჩემო ბიძია! მე საზოგადოდ ვლაპარაკობ ახლანდელ დროის სიავ-კარგეზე და სოფელს რომ გულწრფელი, მიდგომელი, მისი სულს მცნობი პატრონი ჰყავდეს, მართლაც კი მიხვდება იგი სწორე გზას და კიდეც გაჰყვება მას საკვალოდ.

შენი კოტე.

როგორა ზრდიან ბავშვებს გერმანიაში.

(ტყვეს დაკვირვებანი).

გერმანიაში არ არი სოფელი, სადაც ბავშვებისთვის არ იყოს სკოლები დამართული. არის ასეც: პატარა სოფლებისთვის სასწავლებელი ერთ მოზრდილ სოფელშია და ყველა სოფლებიდან სასწავლებლად იქ იკრიფებიან. თუმცა გერმანიაში სოფლები მეტად დაშორებული არ არიან ერთი-მეორეზე.

ბავშვი ექვს წლამდის სახლშია. კარში მას მარტოკას სათამაშოდ არ უშვებენ.

როცა ბავშვი ექვსი წლისა შესრულდება, ის მაშინვე მიჰყავთ სკოლაში სასწავლებლად. სწავლით კი ყველამ უნდა ისწავლოს. არ არის მაგალითი, რომ დედმამამ თავის შვილს არ ასწავლოს. ბავშვს კი ისე აქვს ჩაგონებული რომ, ელის—როდის შესრულდება მისთვის სანატრელი მეექვსე წელიწადი, რომ წიგნს მოჰკიდოს ხელი.

სოფლად ყველამ უნდა ისწავლოს ექვსი წლიდან თოთხმეტ წლამდე ე. ი. რვა წელიწადი. მერე ვისაც შეძლება ხელს უწყობს—თავის შვილს გაჰგზავნის ქალაქში სწავლის გასაგრძელებლად.

როცა ბავშვი სკოლაში დაიარება და სწავლობს—მაშინაც კი ეხმარება სახლში რამე სუმბუქ საქმეზე. დილით შუადღემდე ის სკოლაშია. სკოლიდან დაბრუნებისას, დედმამა თავის შვილს უსათუოდ გამოუჩენს ხოლმე რამე საქმეს. ან მამა წაიყვანს თან მინდორში და როცა ცხენს ამუშავებს გუთანზე—თითონ მამას გუთანი უჭირავს და ბავშვი კი წინ მიუძღვის ცხენებს, რომ ცხენმა სწორედ გაატაროს გუთანი. ერთი სიტყვით მრავალ საქმეში ეხმარებიან, რაც სამძიმო არ იქნება ბავშვისთვის.

ასევე თითქმის სულ ბავშვებს ჰყავთ მინდობილი; ცხვარი, თხა, კურდღელი და მტრედები. თუ აქედან რამე გაიყიდა—ფული მომვლელი ბავშვისაა ან კიდევ თუ სახლში დაჰკლეს საჭმელად, დედმამა მათ ღირებულს ფასს აძლევს.

დაუბრუნდეთ ისევ სკოლას; ამ რვა წელიწადში ბავშვი იმდენს სწავლობს, რომ წერა-კითხვაც კარგი იცის და ანგარიშიც. და ვერავინ ველარ მოატყუებს. სკოლაში აგრეთვე ასწავლიან მეფუტკრეობას, ხეხილის მყნობას და სხვა. ამ რვა წელიწადში სულ სწავლობენ—როგორ იცხოვრონ, ვის როგორ მოექცნენ ან რას როგორ მოუარონ.

ყველა საღამ-საღამოთი ვახშმის შემდეგ კითხულობს: წიგნებს, ჟურნალებს და აგრეთვე გაზეთებს, რაც მათ შესძენს უფრო დიდ გამოცდილებას სანამ მას სკოლიდან იღებენ.

ეს არის რომ გერმანიაში კულტურა დიდია. გერმანიის სკოლა ხელს უწყობს გერმანიის შინაურ ცხოვრების განვითარებას.

მაშ რომელ მაგალითს უნდა მივბაძოთ ჩვენ?

პირველად სწავლას, რომელიც სამშობლოს დიდ ნაყოფს მოუტანს.

ჩვენი ხნიერებისაგან ხშირად მსმენია: „პაპაჩემს და მამაჩემს არ უსწავლიათ, და მე რაღად უნდა ვასწავლო ჩემს შვილსაო“?

მერე განა ეს არ არის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს მუნჯები ვართ და ჩვენი ცხოვრება ტანჯვითა და უმეცრებით არი სავსე?

ჩვენ უნდა გავიჭიროთ და ვასწავლოთ ჩვენ შვილებს, რო მათ მაინც მოიპოვონ ბედნიერი სიცოცხლე თავიანთი შეგნებით. ისინი მაინც იყვნენ თავისი ღვიძლი მოძმის საქმის მწარმოებლები და სხვამ აღარ სცემოს თავში როგორც ახლა ჩვენ მოგვდის.

ნუკი გამოვეკიდებით, რომ უეჭველად უნივერსიტეტები გავათაოთ და მერე ჩვენს მამულში მუშაობა ჩვენვე გვეზარებოდეს. მამული რჩებოდეს დაუმუშავებელი და ჩვენ კიდევ ყოველ დღე ათას გვარ გასართობებში ვხეტიალობდეთ.

ეხლა დაუბრუნდეთ ისევ გერმანიას. გერმანიაში ყველა თოთხმეტი წლის ბავშვი, რომ გაათავებს სწავლას, და მერე შეუდგება ოჯახში მუშაობას—აქედან დედმამა უნიშნავს წლიურ ჯამაგირს, რომელიც სხვა ნაშოვარ ფულთან ერთად ენახება იმ დრომდე, ვიდრე ის ოჯახიდან არ გავა, ან კიდევ ოჯახი არ გაიყოფა.

ეს როგორც ვაჟზეა დაწესებული, ისევე ქალზედაც. ესენი ფულებს ამნაირად აგროვებენ. ხოლო ამის გარდა რაც მათ დედმამას აქვს შენახული ესეც ხომ ამათია. ამასთან უნდა გავიხსენო, რომ გერმანიაში დიდი თუ პატარა—დიდი ანგარიშით ატარებს მთელ ცხოვრებას, და თავის დღეში ტყუილ-უბრალოდ ფულს არ დაჰხარჯავენ.

იმედია, რომ ეს მაგალითი ჩვენშიც იქნება მიღებული. ყველა გლეხკაცი ასწავლის თავის შვილს და უჩვენებს კარგს გზას, რომელიც ასევე საბედნიერო უნდა იყოს სამშობლოსთვისაც.

ილ. ხონდულაშვილი.

ვახტანგ გორგასლანი.

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდამ ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შეჰქმნეს დრეკა!“

ხალხური

სრული ხუთმეტი საუკუნე გავლილი ვახტანგის შემდეგ და სახელი ამ საყვარელ გმირისა ჯერ არ ჩამქრალა ქართველ ერის ხსოვნაში.

თუ კი ხალხმა ვინმე შეიყვარა, აღარ გადივიწყებს, შეიფარებს თავის კალთაში და საუკუნოებით სოფლის ამაოებას გადაარჩენს.

ვახტანგ გორგასლანი ამ ნაირად არის შეყვარებული ქართველ ხალხისაგან.

ვახტანგი სრული შვიდი წლისა იყო როცა მას მამა მირდატ მეხუთე გარდაეცვალა.

დაობლებულ სახელმწიფოს განაგებდა მისი დედა დედოფალი სინდუხტა, სპარსეთის მეფის ქალი, მოკლებული არა მარტო დედოფლურ გამბედაობას არამედ სახელმწიფოურ შორ გამჭრვეტელობასა და უნარს.

სპარსეთმა დაიმონა საქართველო. სპარსეთის მეფემ დედოფალ სანდუხტას სთხოვა რათა მისთვის ქართული ჯარები მიეშველებინა. ქართული ჯარი მართლაც წავიდა სპარსეთს და დიდი სახელიც იშოვენ, მაგრამ შემდეგ რო მან ქრისტეს სჯული არ უარყო, იგი დიდი წამებით ამოჟლიტეს, ეს გაიგეს მაშინ გაძლიერებულმა ოსებმა და შემოესივნენ ქართლს.

დასწვეს, დადაგეს და აიკლეს სრულიად არა თუ ქართლი არამედ კახეთიც ტყვედ წაიყვანეს თვითონ ვახტანგის სამი წლის დაი, სხვაც მრავალი ქართველი წარჩინებული პირები და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ შინ.

ამ დროს ვახტანგი მცირეწლოვანი იყო, ჰხედავდა ყველა ამას და გული შურისძიებით ევსებოდა. საბედნიეროდ, მას მეტად კარგი აღმზრდელები ჰყავნდნენ და ის, მათგან იძენდა საჭირო ცოდნას და გამოცდილებას.

ხუთმეტი წლისა შესრულდა თუ არა ვახტანგი მაშინვე ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე და ახალგაზდური მარჯვენით იკისრა აწეწილ-დაწეწილ საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება.

უპირველესი ჯავრი, რომელიც ჰკლავდა მას, იყო ოსების დასჯა. მან შეშემოიყარა დიდი ლაშქარი და მუხრანის მინდვრიდან არაგვის ხეობით გაემგზავრა დარიალში, სადაც მას შეჰხვდა მოპირდაპირე ოსთა ლაშქარი თავის სახელგანთქმული ფალავნებით.

ომის დაწყებამდე ხუთმეტი წლის ყრმა ვახტანგმა მარტოდ მარტომ დახოცა ოსების ორივ ფალავანი—თარხანი, ბაღათარი და ორივე მდინარე თერგში გადაყარა.

ქართველი ჯარი გამხნევდა. მან მტერდიდის სისასტიკით შეუტია და შიდა ოსეთში გადარეკა. ვახტანგმა წამოიღო დიდძალი ნადავლი, წამოიყვანა თავისი პატარა დაიც და მრავალი ქართველი დიდებულ დარბაისელი.

ოსების დამარცხების გარდა, ვახტანგს დიდი ჯავრი სჭირდა საბერძნეთის, რომელმაც მაშინ აფხაზეთი წაართვა და თვით საქართველოც ნაწილობრივ დააქუცმაცა. ამიტომ მათთვისაც სამაგიეროს გადახდა განიზრახა.

ჯერ დაენათესავა სპარსელ მეფეს და მისი ასული ცოლად შეირთო რომელსაც მთელი სომხეთი მზითევში მოჰყვა.

რასაკვირველია, სიძეს თავის მხრით სპარსეთის მეფემ საკმაო ჯარი მიაშველა და ორივე ძალა შეერთებული სპარს-ქართველებით მიადგა ტრაპიზონს და სძლია ბერძნები. ბერძნებმა ზავი ითხოვეს, დაუთმეს აფხაზეთი და სრულიად დასავლეთ საქართველო.

ვახტანგი დათანხმდა ზავზე. თავისი ჯარი გაგზავნა ქართლში ხოლო თვითონ მოიარა მთელი დასავლეთ-საქართველო, სადაც ააგო მრავალი ციხე და ეკლესიები.

ვახტანგმა მოსპო თავის ორი მტერი—ოსეთი და საბერძნეთი. ორი მოსისხლე მტრის ჯავრი ამოიყარა და ახლა დარჩა მესამე უფრო ძლიერი და უფრო ცბიერი სპარსეთი, რომელთანაც შებმა მეტად საშიშო იყო.

ამ დროებში სპარსეთში მოკვდა ვახტანგის სიმამრი მეფე ორმუზი და სულ ცოტა ხანი რომ გამოვიდა გარდაიცვალა მისი ასულიც—ცოლი ვახტანგისა.

საქართველოსა და სპარსეთს შორის ჩატყდა ხიდი კავშირისა, მეზობლობისა და სიძულვილი ჩამოვარდა.

ორივე მხარე ერთი-მეორის წინააღმდეგ აფთარივით კბილებს ილესავდა და დაჰკრა საბედისწერო საათმაც...

ცხარე ბრძოლაში ვახტანგმა დაამარცხა სპარსელები და მათი ნადავლი ხელთ ჩაიგდო. სპარსელები ჯერ ისევ აპირებდნენ ომის გაგრძელებას მაგრამ როცა მათ გაიგეს რომ სიმაგრე ისევ ვახტანგ მეფეს ოთხმოცი ათასს ქართველს აშველიებდა, მაშინ კი თვით აიყარნენ. სპარსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და თვისი კეთილი ურთიერთობაც განახლა.

შემდეგ ამ ამბებისა, ვახტანგმა აირჩია ათასი საუკეთესო ვაჟკაცი და იერუსალიმს გაემართა სალოცავად, იერუსალიმში მან თაყვანი სცა მაცხოვრის საფლავს და მრავალი სიმდიდრეც შესწირა, სამადლობლად იმ გამარჯვებებისა, რომელიც მას გადახდა.

დაბრუნებისას მან გაილაშქრა ინდოეთზე სპარსელებთან ერთად საიდანაც დიდი ნადავლით დაბრუნდა. აი, სწორედ ამ დროს შემოვიდა საქართველოში აბრეშუმის თესლი, რომელიც მთელი ქვეყნის სიმდიდრედ არის გადაქცეული, მანამდე კი არათუ ჩვენში არამედ ევროპაშიც კი არაფერი არ იცოდნენ აბრეშუმის თესლის შესახებ

მაგრამ ბედისწერამ მალე გამოაცალა ქართველ ერს მისი საყვარელი მეფე.

სპარსეთში გამეფდა მეფე კობადი, რომელსაც არ ესიამოვნა ვახტანგის მეგობრობა საბერძნეთთან.

მან შემოუთვალა ვახტანგს: ან თავი ანებე საბერძნეთს, ან მოემზადე ჩემთან საბრძოლველადო ვახტანგმა ცივი უარი შეუთვალა, კობადსაც ეს უნდოდა. დაიძრა აურებელი ჯარით და შემოესია ქიზიყს, რომელიც მთლად მოაოხრა.

ვახტანგმა შეჰყარა თავისი თავდადებული ლაშქარი და ცხარე ბრძოლა გაუმართა მას ქ. უჯარმართან (უჯარმა დღეს პატარა სოფელია—გარეღ კახეთში).

ვახტანგმა ორ დღეში მტერი შემუსრა. მესამე დღეს, მას მტერი საბოლოოდ უნდა დაემარცხებინა და სპარსელებიც გაქცევას აპირებდნენ.

განთიადისას, ის თავს დაესხა სპარსელებს და საკუთარ ხელით აჩეხა კობადის უფროს შვილი, თვითონ კობადმა კი თავს უშველა.

მტრის დევნაში ვახტანგი ვინმე სპარსელ ჯარისკაცმა ისრით სასიკვდილოდ დასჭრა. ისარმა გაუწონა ფილტვები და მეორე დღით საქართველოს დიდმა მამულიშვილმა სული განუტევა. ქართველმა ხალხმა დიდი გლოვით დაკრძალა იგი მცხეთის ტაძარში, რომელიც მან ააშენა.

მანვე ააგო საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი, რომელსაც ამდენი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში.

მანვე შემოიტანა პირველად საქართველოში აბრეშუმის ჭიის თესლი, ეკლესიებთან მრავალი სკოლები დახსნა და ხელი შეუწყო ქართველ ერის განათლებას.

ყველა ქართველისთვის საყვარელია მეფე ვახტანგი, მეფე მამულიშვილი და რაინდი უშიშარი. ის იყო სამართლის გადამჭრელი, ის იყო სარდალი, ის იყო მაშენებელი ციხე-ქალაქებისა, ის იყო ერისათვის მზრუნავი და მოამაგე. ყველა ამას არ ივიწყებს ქართველი და აკი მუდამ მადლიერი მოგონებით იგონებს ვახტანგ გორგასლანს, საქართველოს საყვარელ გმირს და მამულიშვილს.

ნინია კახაბერი.

რედაქტორი ნ. კაიშაური.

სტამბა „ხელოვნება“ ველიამინოვის ქუჩა 20.